„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე
“31“ 01 2020 წ.

საქართველოს ჩემპიონატი 8, 10 და 12 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

დასავლეთ ზონის პირველი ლიგა

1 - 8 მარტი 2020 წ. ქ. ფოთი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორები:
   - საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
   - ფოთის საჭადრაკო კლუბი “ნანა”.
2. ჩატარების ვადები და ადგილი:
   01.03-08.03. 2020წ. ქ. ფოთი, ჭანტურიას ქუჩა 2.
3. მონაწილენი:
   ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ:
   8 წლამდე - 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს.
   10 წლამდე - 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს.
   12 წლამდე - 2008 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს.
   ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სავალდებულოა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2020 წლის საწევროს გადახდა შესაბამის რეგიონული ფედერაციის საბანკო ანგარიშზე.
   სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
4. სისტემა და კვალიფიკაცია:
   ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად.
   აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
5. დროის კონტროლი:
   თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.
6. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:
   მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინონ ან გადმოაგზავნონ დაბადების მოწმობის ასლი, შესაბამის რეგიონული საჭადრაკო ფედერაციის საბანკო ანგარიშზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2020 წლის საწევროს გადახდის და ფოთის საჭადრაკო კლუბი “ნანა”-ს სახაზინო ანგარიშზე ჩემპიონატის სატურნირო შესატანის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები 2020 წლის 29 თებერვლის 18.00 საათამდე:
   ელ-ფოსტა- chesspoti@yahoo.com მობ: 593399264, 593600911

   ა(ა)იპ “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი ნანა”
   საინდ. კოდი: 415099379
   მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
   მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
   ბანკის კოდი: TRESGE22
   სახაზინო კოდი: 750177499

   - რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2020 წლის 29 თებერვლის 18.00 საათი.
   - თითოეული მონაწილის სატურნირო შესატანია 20 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით)
   - სოციალურად დაუცველები და მრავალშვლიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანიდან.
   - დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში სატურნირო შესატანია 40 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
   - რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

7. თაი – ბრეიქი:
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

8. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	1 მარტი	11:00 - 18:00
I ტურის კენჭისყრა	2 მარტი	12:00
გახსნა		15:00
I ტური		15:00
II ტური	3 მარტი	15:00
III ტური	4 მარტი	15:00
IV ტური	5 მარტი	15:00
V ტური	6 მარტი	15:00
VI ტური	7 მარტი	15:00
VII ტური	8 მარტი	11:00
დახურვა	8 მარტი	15:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია, ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება მოახდინოს.

9. დაჯილდოვება:
- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- 2-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- თითოეულ ტურნირში 1–5 ადგილზე გასული მოჭადრაკეები მოიპოვებენ შესაბამისი ასაკის უმაღლესი ლიგის საგზურებს.
- 1 ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ შეასაბამისი სპორტული თანრიგი: 8 წლამდე - III თანრიგი, 10 წლამდე - II თანრიგი. 12 წლამდე - I თანრიგი.

10. საერთო წესები:
- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 15 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ტურნირის გახსნის ცერემონიალზე.
  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.
- არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (№10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.
- ჩემპიონატში შესაძლებელია სპორტული თანრიგის შესრულება.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა.

მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი - გოჩა ჩაჩუა.